საფონდო ბირჟა - სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (ს/კ: 211382145) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საფონდო ბირჟა - სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (ს/კ 211382145, ბრძანების ნომერი: N9001) „პირების და მათი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 13 თებერვლის N36/04 ბრძანების საფუძველზე 1 000 (ერთი ათასი) ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 28 დეკემბრის №169/01 ბრძანებით დამტკიცებული „საფონდო ბირჟის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კალენდარული წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადაში წარუდგენლობას.